SCIENTIA • LABOR • LIBERTAS

თავისუფალი
უნივერსიტეტი

ვიზუალური ხელოვნების, არქიტექტურისა და დიზაინის სკოლა VA[A]DS

ვიზუალური კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

ვიზუალური კომუნიკაცია

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ვიზუალური კომუნიკაციის ბაკალავრი

სწავლების მოცულობა კრედიტებით

240 ECTS

სწავლების ენა

ქართული

პროგრამის მიზანი და სტრუქტურა

ვიზუალური კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის მიზანია:

- სტუდენტს მისცეს ვიზუალური კომუნიკაციის ფართო ცოდნა.
- სტუდენტი კრიტიკულად იაზრებდეს ვიზუალურ კომუნიკაციაში არსებულ მიმდინარეობებს.
- სტუდენტს შეეძლოს მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება.
- შრომის ბაზარზე და სახელოვნებო ასპარეზზე განათლებული, კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება.

დასაქმების სფეროები

ვიზუალური კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტები მიიღებენ ვიზუალური კომუნიკაციის სფეროში თანამედროვე, უახლეს თეორიულ

ცოდნას, პრაქტიკულ უნარებს და გამოცდილებას, რაც უზრუნველყოფს მათ კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე და წარმატებულ კარიერის საფუძველს პროფესიულ საქმიანობაში. ეს განპირობებულია იმითაც, რომ საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია მსოფლიოში არსებული მოწინავე სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამების მაგალითების გათვალისწინებით და ამასთან, აკადემიური პერსონალი და ლექტორები არიან პრაქტიკოსები, რომლებსაც სწავლებასთან ერთად აქვთ წარმატებული (საერთაშორისო) პროფესიული კარიერა.

ვიზუალური კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, ბაკალავრი შეიძლება დასაქმდეს შემდეგი პროფილის მქონე კომპანიებში:

- სარეკლამო სააგენტოებში
- გამომცემლობებში
- შემოქმედებით სტუდიებში
- მუზეუმებში
- ნებისმიერ ორგანიზაციაში, რომელსაც საკუთარი საქმისა თუ პროდუქტის პოპულარიზაცია და კომუნიკაცია სურს

გარდა ამისა, კურსდამთავრებულს შეეძლება:

- შექმნას საკუთარი პორტფოლიო
- დაიწყოს მის სფეროში დამოუკიდებელი საქმიანობა

შესაბამისად, ვიზუალური კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებს აქვთ საკმაოდ ფართო დასაქმების პერსპექტივები. გარდა ამისა, კურსდამთავრებული შეძლებს სწავლის გაგრძელებას უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე, შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ვიზუალური კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამაზე მიღება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, კომბინირებული წესით:

- შემოქმედებითი ტური
- ერთიანი ეროვნული გამოცდები (ორი სავალდებულო საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა).

საბაკალავრო პროგრამით სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელმაც "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანებით დამტკიცებული ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების შესაბამისად, მოიპოვა უფლება ისწავლოს თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში.

აბიტურიენტების ხელშეწყობისა და სტუდენტების მობილობის მიზნით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება, ან უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის (გარდა იმ პირებისა, რომლებიც იმავდროულად საქართველოს მოქალაქეები არიან), რომლებმაც საქართველოში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება საქართველოს მიერ აღიარებული უცხო ქვეყნის ან საერთაშორისო პროგრამების მიხედვით.

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება და რომლებიც სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელს სწავლობდნენ უცხო ქვეყანაში.

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და

მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის დროს, მხედველობაში მიიღება კანონმდებლობის მოქმედი რედაქცია.

სწავლის შედეგები

ვიზუალური კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ:

1. კურსდამთავრებული იაზრებს თუ რა არის ბუნება, საზოგადოება, ადამიანი და ხელოვნება; შეუძლია რაოდენობრივი აზროვნება; ფლობს პროფესიული განვითარებისათვის საჭირო მრავალმხრივ საბაზისო ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რაც შეთავაზებულია საუნივერსიტეტო ზოგადი განათლების მოდულით; იღებს მორალური ღირებულებების საფუძველზე ეთიკურ გადაწყვეტილებებს და აცნობიერებს სამყაროს და საზოგადოების მრავალფეროვნებას.
2. კურსდამთავრებულმა იცის ხელოვნების ისტორიის ძირითადი პერიოდები და მათი დახასიათება და აცნობიერებს თანამედროვე ხელოვნების ინსტიტუციებისა და მათი წარმომადგენლების როლს.
3. კურსდამთავრებული იაზრებს ვიზუალური კომუნიკაციის სფეროს მხატვრულ-შემოქმედებით, ციფრულ-ტექნოლოგიურ და სოციალურ-კულტურულ საფუძვლებს.
4. კურსდამთავრებული შემოქმედებითად იყენებს ვიზუალური კომუნიკაციის ტრადიციულ და თანამედროვე მეთოდებს, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს და შესაბამის გრაფიკულ პროგრამებს.
5. კურსდამთავრებული დასმული ამოცანის მიხედვით აწარმოებს კვლევას, შეიმუშავებს დიზაინ-კონცეფციას, შესაბამის დოკუმენტაციას, ფუნქციონალური და შემოქმედებითი საკითხების გათვალისწინებით ახორციელებს პროექტს და წარადგენს მას.
6. კურსდამთავრებული ფლობს და იყენებს კლიენტთან/მომხმარებელთან კომუნიკაციის საფუძვლებს.
7. კურსდამთავრებული იაზრებს შემოქმედებითი თავისუფლების, ინტელექტუალური საკუთრებისა და პროფესიული ეთიკის პრინციპების დაცვის მნიშვნელობას.

8. კურსდამთავრებული დამოუკიდებლად აფასებს და აკეთებს დასკვნას ვიზუალური კომუნიკაციის პროექტებზე, რაც მოიცავს სივრცის და მონაცემების ანალიზს, გარემოებების შეფასებას, დასმული ამოცანის სპეციფიკისა და მოთხოვნების შესწავლას.
9. კურსდამთავრებული ვიზუალური კომუნიკაციის პროდუქტის შექმნის პროცესში მუშაობს ინდივიდუალურად ან გუნდში პასუხისმგებლობის პრინციპების დაცვით.
10. კურსდამთავრებული განსაზღვრავს ინდივიდუალურ სასწავლო საჭიროებებს და გეგმავს პროფესიულ განვითარებას.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სწავლის შედეგების მისაღწევად თითოეული სასწავლო კურსის მიზნიდან გამომდინარე, განსაზღვრულია შესაბამისი სწავლისა და სწავლების ფორმები. პროგრამის ფარგლებში, როგორც წესი, გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები და აქტივობები:

- ვერბალური მეთოდი
- დისკუსიები/დებატები
- დემონსტრირების მეთოდი
- ჯგუფური მუშაობა
- სტუდიური მუშაობა
- შემთხვევების შესწავლა
- გონებრივი იერიში
- ინდუქციური მეთოდი
- დედუქციური მეთოდი
- როლური და სიტუაციური თამაშები
- პრაქტიკული
- პრეზენტაცია
- წიგნზე მუშაობა
- გამოფენა
- საკურსო სამუშაო/პროექტი

ამასთან, ლექტორი უფლებამოსილია სასწავლო პროცესში გამოიყენოს ისეთი მეთოდი, რომელიც პროგრამაში არ არის მითითებული. განსხვავებული მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, ინფორმაცია მიეთითება სილაბუსში.

სწავლის შედეგების გაზომვისას გამოიყენება როგორც მაფორმირებელი, ისე შემაჯამებელი შეფასების ფორმები, ესენია: საშინაო დავალებები, ტესტები, პრაქტიკული

გამოცდა, პრეზენტაცია, შესრულებული სამუშაოების გარჩევა, ანგარიშები, პროექტი და სხვა. სასწავლო კურსების მიხედვით სწავლების მეთოდები გაწერილია სილაბუსებში.

ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100-ქულიანი სისტემით. შეფასება მრავალკომპონენტიანია და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს. სტუდენტის ცოდნის შეფასების დროს, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია გამოიყენოს ზემოაღნიშნული წესი. ცოდნის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი სქემა:

ხუთი სახის დადებითი შეფასება:
(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა

ორი სახის უარყოფით შეფასებას:
(FX) ვერ ჩაბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სასწავლო გეგმა

სასწავლო გეგმა შედგება რამდენიმე კომპონენტისგან:

- საუნივერსიტეტო ზოგადი განათლება
- მიმართულების საბაზო განათლება
- ძირითადი განათლება
- არჩევითი საგნები

საგანმანათლებლო პროგრამას თან ერთვის კურიკულუმი და სემესტრული გეგმა.

ადამიანური და მატერიალური რესურსები

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამას გამორჩეული კვალიფიკაციისა და წარმატებული გამოცდილების მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია ფინანსურად და მატერიალურად. პროგრამის განსახორციელებლად უნივერსიტეტი გამოყოფს შესაბამის ფინანსურ და მატერიალურ რესურსს. საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება კახა ბენდუქიძის კამპუსში, რომელიც აღჭურვილია მაღალი ხარისხის განათლების მისაღებად საჭირო ინვენტარით და ყველა სხვა რესურსით.